PDF Eraser Free

დანართი

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე
ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა
ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:
ნანა შარაბიძე

წევრები:
მანანა მოისწრაფიშვილი
ქეთევან ღვანიძე
გიული გურგენიძე
იაზონ დანელია
ირმა ანთია
თამარ დვალიშვილი
გიორგი ბერია
ტიტე ბოლქვაძე
ინგა ბაქრაძე
მაკო ჯაოშვილი
ნია გუგუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი:

სახე: **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**

■ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის ბრძანებით №320190 (02.04.2021წ) შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. მანანა მოისწრაფიშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);
3. ქეთევან ღვანიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);
4. გიული გურგენიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);
5. იაზონ დანელია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);
6. ირმა ანთია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);
7. თამარ დვალიშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);
8. გიორგი ბერია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);
9. ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);
10. ინგა ბაქრაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);
11. მაკო ჯაოშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);
12. ნია გუგუნავა - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი(წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განახორციელოს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შემოსული დოკუმენტაცია, დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციები და დოკუმენტები და შეადგინა დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით განხორციელდა დისტანციური ვიზიტი 2021 წლის 27, 28 და 29 აპრილს. ასევე ცენტრის უშუალო ჩართულობით და დაწესებულებამ კიდევ დამატებით წარმოადგინა დოკუმენტები.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დისტანციური გასაუბრების განრიგების მიხედვით განსაზღვრულ პასუხისმგებელ, საკონტაქტო პირებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა სტანდარტების შეფასებების შედეგები და ძირითადი მიგნებები გაუზიარა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს, **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მიერ დადგინდა**, რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით, არ ირღვევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდანაც, რომ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილ შენობებში (უნივერსიტეტის მეოთხე და მეხუთე კორპუსი) არ ხორციელდება აკადემიური პროგრამები. ასევე, დაწესებულების წამომადგენლებთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ დაწესებულების პროფესიული სტუდენტები და მაწავლებლები ისევე სარგებლობენ დაწესებულების მიერ შეთავაზებული სერვისებით, როგორც აკადემიური განათლების სტუდენტები და მასწავლებლები.

თუმცა, დაწესებულებას **მიეცა რეკომენდაცია მარეგულირებელ აქტებსა და სერვისების ნაწილში, აკადემიური განათლების სტუდენტებთან ერთად მოხსენიებულ იქნას პროფესიული სტუდენტები.**

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☒	☐	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამების უმეტესობა დაიმატა 2020 წლის ზაფხულში, იმ დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების გადამოწმება მოხდა მონიტორინგის ვიზიტების დროს. შესაბამისად, გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზი არ დაუფიქსირებია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია სტანდარტთან მიმართებაში:

5.1.1.5

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, არ ყავს კანონმდებლობის დადგენილი წესის შესაბამისი სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ამიტომ დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, წარმოადგინა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის №1-42 (18.06.2021წ.) ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დასკვნის პროექტში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული გაუმჯობესების გეგმა“, რომლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული 2 სპეციალისტის შესარჩევად კონკურსის გამოცხადებას (ვადა 21 ივნისიდან 23 ივლისამდე). დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გაუმჯობესების გეგმაში მითითებულ ვადაში (2 თვე) უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული 2 სპეციალისტის შერჩევა.

შესაბამისობის რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში:

5. საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“

2.2.1.1

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა **უზრუნველყოფილი არ არის დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით,** პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, წარმოადგინა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის №1-42 ბრძანებით (18.06.2021წ.) დამტკიცებული „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დასკვნის პროექტში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული გაუმჯობესების გეგმა“, რომლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს სავაჭრო ობიექტებთან (შ.პ.ს „მონტე“, შ.პ.ს „ქება 2010“, შ.პ.ს „სმაილი“) ხელშეკრულებების გაფორმება (განახლება)-ს ერთი თვის ვადაში (21 ივლისი, 2021წ.).

დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გაუმჯობესების გეგმაში მითითებულ ვადაში (1 თვე) უზრუნველყოს სავაჭრო ობიექტებთან (შ.პ.ს „მონტე“, შ.პ.ს „ქება 2010“, შ.პ.ს „სმაილი“) ხელშეკრულებების გაფორმება (განახლება).

განვითარების რეკომენდაციები სტანდარტებთან მიმართებაში:

1.2.2.3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების ხელმისაწვდომობის მიზნით, რეკომენდირებულია სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები განთავსებული იყოს დაწესებულების ვებ გვერდზე

3.1.1.4.

სასურველია, დაწესებულებისთვის თანაბრად პრიორიტეტული იყოს სამივე საფეხურის სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

3.2.1.3.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სასურველია, მარეგულირებელ აქტებსა და სერვისების ნაწილში, აკადემიური განათლების სტუდენტებთან ერთად მოხსენიებულ იქნას პროფესიული სტუდენტები.

განვითარების რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში:

9. საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო საქმე“

2.1.2.3

სასურველია, განსაკუთრებით კლინიკური მიმართულების მოდულებში, აღნიშნულ მოდულებს ასწავლიდეს კონკრეტული მიმართულების სპეციალობისა და პრაქტიკული უნარების მქონე საექთნო პერსონალი, რომლის დატვირთვა მათი მიმდინარე კლინიკური საქმიანობის პარალელურად ადექვატური იქნება, რაც გაზრდის აღნიშნულ მიმართულებაში სწავლების ხარისხს.

10. საგანმანათლებლო პროგრამა - „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“

2.1.1.4

სასურველია დაწესებულებამ პერიოდულად მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-გადახედვა საგანმანათლებლო რესურსების კუთხით, რათა გამორიცხოს ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

11. საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“

2.2.1.1

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის, დაწესებულებამ უზრუნველყოს დამატებით ერთი A გარემო გამოყოფა, რათა არ მოხდეს პირველი და მეორე წლის ნაკადის სტუდენტების სწავლებისას A/C გარემოში გადაფარვა;

2.2.1.5

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების სასწავლო რესურსებში აისახოს ახალი ელექტრონული სასწავლო რესურსები, რასაც პროფესიული მასწავლებლები იყენებენ დისტანციური სწავლების დროს;

2.4.1.1

სასურველია, სასწავლო გეგმაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა მოდულის „სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება“ წინაპირობებთან მიმართებაში;

2.4.1.1

სასურველია, მოდული „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ ისწავლებოდეს პირველივე ეტაპზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDFElement Free

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს**

სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა - ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას-რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან**

სასწავლო უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრულია საქმიანობის ძირითადი მიმართულება (პროფილი) -
უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, მაღალი ხარისხის აკადემიურ (საბაკალავრო, სამაგისტრო) და პროფესიულ განათლებას, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს.

- უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების, სამეცნიერო კვლევის, შემოქმედებითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ხელშემწყობი, უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნასა და განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- ხელს უწყობს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პიროვნული პოტენციალის რეალიზებასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას;
- ნერგავს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის (უწყვეტი განათლების) სისტემას საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებითა და განხორციელებით;
- მხარს უჭერს და განამტკიცებს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, თანამშრომლების, ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციული მმართველობის სტრუქტურების ინიციატივას უნივერსიტეტის ერთობლივი მართვის კუთხით;
- ავითარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ქვეყნისა და უცხოეთის მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხელს უწყობს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას. - რაც განასხვავებს მას სხვა პსდ-გან.

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები**

სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარეობს დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. კერძოდ,

დაწესებულების ხედვა: სასწავლო უნივერსიტეტის ხედვაა ორიენტირებულობა უწყვეტ განვითარებაზე, მათ შორის ევროპულ განათლებასთან ჰარმონიზაციაზე.

უნივერსიტეტის საქმიანობა ხელს შეუწყობს წარმატებული სპეციალისტების მომზადებასა და მათ ინტეგრირებას კონკურენტულ შრომით ბაზარზე.

დაწესებულების ღირებულებები:

- დემოკრატიულობა;
- განვითარებაზე ორიენტირებულობა;
- კეთილსინდისიერება;
- აკადემიური თავისუფლება;
- გამჭვირვალობა და ღიაობა.

4. **მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სასწავლო უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, ადმინისტრაციის, დამსაქმებლების და დაინტერესებული საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მონაწილეობით შემუშავებული დოკუმენტია, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე, სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების ცენტრის წარმომადგენლებთან და პროგრამების განმახორციელებლებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ გაცნობიერებული აქვთ დაწესებულების როლი ქვეყნის განვითარებაში, იცნობენ და იზიარებენ დაწესებულების მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული მისიის განაცხადი, ხედვა და ღირებულებები
- ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;**

სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და პროფესიული განათლების ცენტრის ერთწლიანი სამოქმედო გეგმები რომლებიც შესაბამისობაშია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრიორიტეტებთან და თავსებადია დაინტერესებული მხარეების მოლოდინებთან. აღნიშნული გეგმების შემუშავებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით

2. **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს**

სასწავლო უნივერსიტეტის სტარტეგიული და სამოქმედო გეგმები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. იგი ითვალისწინებს ქვეყნისა და რეგიონის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს.

3. **დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან თავსებადი მიზნები, მისი შესაბამისი ამოცანები, მათი განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები. დაწესებულებაში არსებობს პროფესიული განათლების ცენტრის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს 2020-2021 სასწავლო წლის პერიოდში დაწესებულების ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს და პასუხისმგებელ პირებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- სტატეგიული და სამოქმედო გეგმებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, რაც გამოიხატება სათანადო გადაწყვეტილებათა მიღებისას პროფესიული სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მოსაზრებებისა და პოზიციების გათვალისწინებაში.

2. **პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;**

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი, მისი სამსახურები და პროფესიული განათლების ცენტრი სათანადოდ რეაგირებს შეფასების და დაინტერესებული მხარეების მხრიდან უკუკავშირის შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით სასწავლო უნივერსიტეტის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ ანგარიში საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის.

სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების ხელმისაწვდომობის მიზნით, <u>რეკომენდირებულია</u> სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები განთავსებული იყოს დაწესებულების ვებ გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტარტეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, მეთოდლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით და ხელშეკრულებებით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, შინაგანაწესი, სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვ.) უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა. დაწესებულების პერსონალი პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ყველა საჭირო ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

2. **პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს**

დაწესებულებაში არსებობს პროფესიული სტუდენტისათვის მათი კანონიერი უფლებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, მათ შორის შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ. შესაბამისი პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით**

შეფასების სისტემის შესახებ, ასევე შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმის შესახებ პროფესიული სტუდენტები სწავლის დაწყებამდე არიან ინფორმირებულები. ისინი ინფორმაციას იღებენ სწავლის დაწყებისთანავე კონსულტაციის სახით, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პროგრამის ხელმძღვანელისა და პერსონალის მხრიდან ინფორმაციის მიწოდების, უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით.

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა**

პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილია დაწესებულების სტუდენტების უფლებების დაცვა.

<u>თუმცა, დაწესებულებას ვებ გვერდზე სტუდენტთა მხარდაჭერის რუბრიკაში ბაკალავრის და მაგისტრის ხელშეკრულებასთან ერთად, არ აქვს განთავსებული პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში.</u>

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ არ არსებობს არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების პრაქტიკა, რადგან არ ყოფილა ამის საჭიროება, თუმცა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების პროცედურა.

<u>სასურველია,</u> დაწესებულებისთვის თანაბრად პრიორიტეტული იყოს სამივე საფეხურის სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

5. **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, სასწავლო უნივერსიტეტში არსებობსინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი, პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით და მათი ინტერესების გათვალისწინებით, შეიმუშავებს და განახორციელებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ზემოაღნიშნული პროცედურის გამოყენებით.

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფორმები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი
- ინტერვიუირების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. **პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სასწავლო უნივერსიტეტი პროფესიულ სტუდენტს უწევს სათანადო კვალიფიციურ, მხარდამჭერ კონსულტირებას მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პროფესიულ მასწავლებელთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მხარდამჭერ მომსახურებას.

2. **პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

პროფესიული სტუდენტები ადაპტირებულნი არიან სასწავლო გარემოსთან, რაც გამოიხატება ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული მასწავლებლების, პრაქტიკის განმახორციელებლების მხრიდან მათ კონსულტირებაში, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო პროცესის ხელშეწყობაში.

3. **პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას**

დაწესებულების ვებ გვერდზე სტუდენტთა მხარდაჭერის რუბრიკაში განთავსებულია შემდეგი დოკუმენტები: სტუდენტის გზამკვლევი, სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერა, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულება, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, სტუდენტის ხელშეკრულების ფორმა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა, კრედიტების აღიარების წესი.

აღნიშნული დოკუმენტები შექმნილია სტუდენტის მხარდასაჭერად და ძირითადად მორგებულია აკადემიურ სტუდენტებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა), ამავე დროს დაწესებულებას თავისსავე შემუშავებულ რეგულაციაში - სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, გამოყენებული აქვს ტერმინი პროფესიული სტუდენტი, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ დაწესებულება ანსხვავებს რეგულაციებში ტერმინებს სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი. ამიტომ, **სასურველია ვებ გვერდზე განთავსებულ რუბრიკის სტუდენტთა მხარდაჭერის დოკუმენტებში ჩანდეს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები ან ცალკე შეიმუშაონ პროფესიულ სტუდენტთა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. **პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას**

დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებითი/ არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას; პროფესიული სტუდენტები ჩართულნი არიან სასწავლო უნივერსიტეტში არსებული წრეებისა და თვითმმართველობის საქმიანობაში.

5. **პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას**

პროფესიული სტუდენტის მხრიდან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, დაწესებულება აუმჯობესებს სტუდენტების მომსახურებას და ეხმარება მათ არსებული გამოწვევების დაძლევაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- დაწესებულების სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- კითხვარების ანალიზი
- ვებგვერდზე გამოქვეყნებული,პროცესის ამსახველი მასალა
- პროფესიულ სტუდენტთა აქტივობების ამსახველი მასალები, ჩანაწერები, ოქმები
- დაწესებულების კარიერული დაგეგმვის ღონისძიებების ამსახველი მასალები,ანგარიშები, ვებ-გვერდი;
- განხორციელებული სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი სტუდენტური აქტივობების ამსახველი საინფორმაციო და ფოტო მასალა;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის**

დაწესებულებაში არსებული კარიერული განვითარების მენეჯერის კონსულტაციები და სხვა სახის დახმარება ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისათვის და მათ საჭიროებებზეა მორგებული.

2. **პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

დაწესებულება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მეშვეობით: მოიპოვებს შესაბამის უფლებას და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებთან აწყობს პერიოდულ პრეზენტაციებს მოდულური პროფესიული პროგრამების სწავლების სპეციფიკის და დასაქმების პერსპექტივების თაობაზე; კონსულტაციებს უწევს პროფესიულ სტუდენტებს პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების საკითხებზე; უზრუნველყოფს დამსაქმებლებთან ურთიერთობის კოორდინირებას. რეგულარული კონტაქტების დამყარებას დამსაქმებლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით; დახმარებას უწევს პროფესიულ სტუდენტებს კარიერის დაგეგმვის, სამუშაოს მოძიებისა და დასაქმების საკითხებში; მოიძიებს დამსაქმებელ ორგანიზაციებს და მართავს მოლაპარაკებებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა დასაქმების მიზნით; უზრუნველყოფს დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების მოწყობას. დასაქმების ფორუმების ორგანიზებასა და ამ ღონისძიებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინირებას, როგორც შინაარსობრივი, ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისით.

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით

დაწესებულება პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით და მიღებული შედეგების საფუძველზე ახდენს რეაგირებას.

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე რეგულარულად ხორციელდება მონაცემების მოძიება, დამსაქმებელთა ბაზის სრულყოფისა და სტუდენტებისათვის, დასაქმების თაობაზე განახლებული მონაცემების მიწოდების კუთხით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განხორციელებული სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი სტუდენტური აქტივობების ამსახველი საინფორმაციო და ფოტო მასალა;
- პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი და შედეგები;
- პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ერთეულია პროფესიული განათლების ცენტრი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის წესდების, თავისი დებულებისა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სხვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ცენტრის პერსონალია პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი და ადმინისტრაციის სხვა პერსონალი, რომელთა მუშაობას კოორდინირებას უწევს ცენტრის ხელმძღვანელი. შესაბამისად, ცენტრში განსაზღვრულია შემდეგი საშტატო ერთეულები:

ა) ხარისხის მართვის მენეჯერი;

ბ) სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;

გ)საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;

დ)პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ე) რეესტრის წარმოების მენეჯერი;
ვ) ბიბლიოთეკარი;
ზ) IT მენეჯერი;
თ) ფინანსური მენეჯერი;
ი)მატერიალური უზრუნველყოფის მენეჯერი;
კ) იურისტი;
ლ)პროფესიულ სტუდენტთა საქმის მწარმოებელი;
მ) ადამიანური რესურსების მენეჯერი;
ნ) მედდა;
ო) კომენდანტი;
პ) მონიტორინგი;
ჟ) დაცვის თანამშრომელი;
რ)დამლაგებელი.
თითოეული პირის ფუნქციები დებულებითაა გაწერილი.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

პროფესიული ცენტრის დებულება განსაზღვრავს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) პროფესიული განათლების ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიზნებს, ამოცანებს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
პროფესიული ცენტრის მიზნები და ამოცანებია სხვადასხვა სახის პროფესიული პროგრამების შემუშავება-განხორციელება დარგის დამსაქმებლების უშუალო მონაწილეობით და ხელშეწყობით, კვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადება. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად პროფესიული ცენტრის თანამშრომლებში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება ხელს უწყობს ცენტრის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციებში შედის სწავლების ხარისხის ხელშეწყობა, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვით, პროფესიული სტუდენტების სისტემატიური გამოკითხვა, შედეგების ანალიზი, შესაბამისი წინადადებების შემუშავება, ავტორიზაციისა და თვითშეფასების მომზადების პროცესში მონაწილეობა და ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს. ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულებების სტრუქტურა
- დაწესებულების ორგანოგრამა დაწესებულების წესდება;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები; სამუშაო აღწერილობები; პროფესიული განათლების ცენტრის დებულება;
- დაწესებულებაში არსებული სტრატეგიული , შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

დაწესებულების პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, დაწესებულების წესდების, შინაგანაწესის, პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ინსტრუქციის და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სხვა აქტების საფუძველზე.

2. **პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით**

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა ხორციელდება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობის და პირობების დამტკიცების შესახებ, წარმომადგენლობითი საბჭოს №7-07 გადაწყვეტილების (02.04.2021წ.) შესაბამისად, ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით და უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალის შერჩევას და დასაქმებას შრომის საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით.

3. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას**

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს საშტატო ერთეულის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

4. **პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

პერსონალის მართვის პოლიტიკა შემუშავებულია დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება №6-06,30.01.2019წ), ცვლილება განხორციელდა 2020 წლის 24 ნოემბრის №6-68 დადგენილებით და ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
კეთილსინდისიერება, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, თანასწორობა, პროფესიული განვითარება, ინოვაციურობა და ინიციატივა, მაღალი ეთიკური სტანდარტები. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადად და პროფესიული განათლების ცენტრის საქმიანობის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შინაგანაწესი; სამუშაო აღწერილობები; პროფესიული განათლების ცენტრის დებულება;
- ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები/ cv/კვალიფიკაციის დამადასტურებელი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. **პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;**

სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პესონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას შესაბამისი მექანიზმის მეშვეობით, რის შემდგომაც ხორციელდება ინფორმაციის ანალიზი და შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები არსებული/ შესაძლო გამოწვევების დასაძლევად.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;**

პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, რაც გაიწერება სამოქმედო გეგმაში და შესრულების შედეგები აისახება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებში.

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;**

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას, პერსონალის მართვის პოლიტიკისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

4. **პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; ხელს უწყობს გუნდურ მუშაობის პრინციპზე დამყარებულ თანამშრომლობითი ურთიერთობის განვითარებას, მათ პროფესიულ ზრდას.

5. **პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პერსონალის განვითარების წამახალისებელი აქტივობებისა და ღონისძიებების უზრუნველყოფაზე, ამ მიზნით შემუშავებული აქვს სსიპ გირის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი, დადგენილება № 09-46, 09.11.2017წ., რომელშიც გაწერილია სხვადასხვა აქტივობები და პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და რეგულაციები;
- ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგი;
- პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის კითხვარები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალა;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით**

დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისიინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით;
დაწესებულებას სახელმწიფოსგან გადაცემული აქვს შემდეგი ფართები:

ქ. გორი, ქუჩა ჭონქაძე, N 3. მიწის ფართი 1312 კვმ; შენობა-ნაგებობის ფართი 562,59 კვმ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ქ. გორი, ქურა ბესიკი, N 2. მიწის ფართი 4807 კვმ; შენობა-ნაგებობის ფართი 2596კვმ.
ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. N 124. მიწის ფართი 1124 კვმ; შენობა-ნაგებობის ფართი 860 კვმ;
დამხმარე ფართი 860 კვმ; სხვა ფართი 486,40 კვმ.
დაწესებულება უზრუნველყოფილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით და აღჭურვილობით, რასც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, აუდიტორიები და ლაბორატორიები, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, დაწესებულების მიერ დადგენილი წესით სრულფასოვნად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

პროფესიული პროგრამები ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის ორ სასწავლო კორპუსში. ორივე მათგანში დაცულია სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსები, მათ შორის ორი (მეოთხე და მეხუთე) კორპუსები, სადაც ხორციელედება პროფესიული პროგრამები, უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები

პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 10 ოქტომბრის #1-98 ბრძანებით. დოკუმენტი მოიცავს პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტისთვის და მასწავლებლისთვის ჯანმრთელობის უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხო გარემოს, სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის, პირადი ჰიგიენის შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ვალდებულებას დაწესებულების მხრიდან. ამავე დროს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებამ არა მარტო განსაზღვროს შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, არამედ სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დამსაქმებლის კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, დაგეგმოს და ჩაატაროს დასაქმებულთა (პროფესიული მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები და სხვ.) სწავლება (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟი კანონმდებლობის დადგენილი წესის შესაბამისი სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ.

თუმცა, მიუხედავად გაწერილი შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესისა, დაწესებულებას არ ყავს კანონმდებლობის დადგენილი წესის შესაბამისი სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ამიტომ ექსპერტები ვერ ადასტურებენ, რომ დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, წარმოადგინა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის №1-42 (18.06.2021წ.) ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დასკვნის პროექტში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული გაუმჯობესების გეგმა“, რომლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული 2 სპეციალისტის შესარჩევად კონკურსის გამოცხადებას (ვადა 21 ივნისიდან 23 ივლისამდე). ექსპერტთა ჯგუფმა შესწავლა აღნიშნული დოკუმენტი და სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება „არ შეესაბამება“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება“. ამავე დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისობის რეკომენდაცია:

დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გაუმჯობესების გეგმაში მითითებულ ვადაში (2 თვე) უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული 2 სპეციალისტის შერჩევა.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები

შესამუშავებელი პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელ აღჭურვილობასა და გარემოს სასწავლო უნივერსიტეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უზრუნველყოფს პროგრამის საბოლოო ფორმირებამდე, სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს წინაშე დასამტკიცებლად წარდგენამდე, ხოლო მასალა და ნედლეული შეძენილი უნდა იქნეს საჭიროებისამებრ, პროგრამის ავტორიზაციის შემდგომ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად.

7. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას**

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების საფუძველზე ხორციელდება დაწესებულების რესურსების რეგულარული შეფასება და შესაბამისი რეაგირება განვითარების მიზნით.

8. **პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის**

შენობა-ნაგებობებში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, ისინი სათანადოდ მოწესრიგებულია, მათ შორის უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობით და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, შშმ სტუდენტებისთვის არსებობს შესაბამისად ადაპტირებული სანიტარული კვანძები.

9. **ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ფართს, მათ შორის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს, აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

10. **სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;**

დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის სრულფასოვნად წარმართვას.

11. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი მდგომარეობა,შესყიდვების და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაწესებულების ბიბლიოთეკადა ვებ გვერდი;
- სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის მისი შენახვისა და გამოყენების მექანიზმები;
- ინვენტარის აღწერა/ განახლება/ შეკეთების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;
- აზომვითი ნახაზები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების, ელექტრონული მართვის მოქმედი სისტემა და კატალოგი;
- სანიტარიული ნორმების დაცვის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDFEraser.Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;**

დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ კორპუსში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, ემსახურება მედდა. არის გამოყოფილი შესაბამისი სივრცე - მედდის კაბინეტი, რომელიც სათანადოს არის აღჭურვილი პირველადი გადაუდებელი სახის დახმარების აღმოსაჩენად.

3. **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;**

დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე დაცულია უსაფრთხოების ზომები. კორპუსები აღჭურვილია შიდა და გარე პერიმეტრის სათვალთავალო კამერებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაცვის თანამშრომლებთან, მედდასთან გაფორმებული ხელშეკრულებები; სამუშაო აღწერილობები,მედდის კაბინეტი;
- აღრიცხვის ჟურნალი
- ვიზუალური დათვალიერებით მიღებული შედეგი;
- საევაკუაციო გეგმა;
- შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს

დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა თავისი ტექნოლოგიური შესაძლებლობებით შესაბამისობაშია დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებთან;

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიზნესუწყვეტობის გეგმა, რომლითაც გაწერილია საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის დეტალები.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას

დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რითაც უზრუნველყოფილია მათი დაცვა.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს საინფორმაციო ინფრასტუქურის ეფექტურობის შეფასებას და შედეგების გაანალიზებას.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

პროფესიული სტუდენტები და პერსონალი IT სარგებლობს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურითა და მომსახურებით.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ელექტრონული ფოსტის, ვებგვერდის, სატელეფონო მესიჯების და სოციალური ქსელის მეშვეობით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობის გეგმა;
- ინტერვიუირების შედეგები;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმის წარმოების წესი.

2. **პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის**

სასწავლო უნივერსიტეტი მართვის პროცესში იყენებს ელექტრონული საქმის წარმოების სისტემას -Eflow -ს.

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;**

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას, რისთვისაც გამოყოფილია პირი -რეესტრის წარმოების მენეჯერი.

4. **პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კანცელარიის დებულება;
- საქმისწარმოების წესი;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- www.eflow ცენტრის დებულება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს**

სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს; ვებ-გვერდი www.gu.edu.ge იძლევა მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის (www.gu.edu.ge/პროფესიული განათლება) მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას; ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია, საქმიანობა, სტრუქტურა, დებულებები,შიდა ნორმატიული აქტები, ინფორმაცია პროგრამების შესახებ, მათ შორის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები და სხვ.

2. **დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

დაწესებულებას, რამდენადაც მის მისიაში განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი, გააჩნია ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი www.gu.edu.ge

3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ პროფესიული განათლების მიმართულებით;

5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად**

პროფესიული პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად; ახლად შემუშავებული, დამატების მიზნით საავტორიზაციოდ წარდგენილი პროგრამები ვებგვერდზე განთავსდება ანონსის სახით, ხოლო დამატების შემდეგ ხდება მათი პროგრამების კატალოგში ასახვა.

6. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

დაწესებულება ახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციას საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა არხის საშუალებით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებ-გვერდი www.gu.edu.ge;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- ვებ-გვერდზე განთავსული პროგრამების კატალოგი;
- ვებ-გვერდზე განთავსებული ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, დაწესებულების წლიური ანგარიშები
- პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორი სსსსმ და შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისები, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;**

დაწესებულებაში არსებობს (2020 წლის 1 იანვიდან-2020 წლის 31 დეკემბრის) ჩათვლით გაწერილი ბიუჯეტი, რომელიც შესაბამისობაშია გორის სასწავლო უნივერისტეტის წესდებასთან და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. პროფესიული განათლების ცენტრის ჩამოყალიბების შემდეგ (1 ივლისი, 2019წ.) ცალკე გამოიყო პროფესიული პროგრამების ბიუჯეტი.

2. **საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით**

პროფესიული პროგრამების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით;

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას**

პროფესიული პროგრამები უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასების პროცესს.

4. **დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

დაწესებულება ახდენს სათანადო რეაგირებას ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- პროფესიული პროგრამების ბიუჯეტი;
- პროფესიული პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტები;
- ფინანსური ანგარიშები;
- დაწესებულების სტარტეგიული და სამოქმედო გეგმა;
- დაფინანსების დინამიკა;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ - 1

პროგრამის სახელწოდება	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0731
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	მის: ქ.გორი აღმაშენებლის N124
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	20 პროფესიული სტუდენტი
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

<u>აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება</u>

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას**

დაწესებულება განსახილველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 2020 წლიდან და გადაწყვეტილება მისი განხორციელების შესახებ ეფუძნება რეგიონის მოთხოვნების შესაბამის დასაბუთებას, კერძოდ, ხაზი გაესვა მის საზღვრისპირა მდებარეობიდან გამომდინარე გაზრდილ საჭიროებებს აზომვითი სამუშაოების დაკვეთებზე, დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, რომ მათ მიერ განხორციელდა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, ისინი უშუალო კონტაქტებს ამყარებენ დამსაქმებლებთან, იყენებენ სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს, დამსაქმებლებთან მუდმივი თანამშრომლობით აზუსტებენ მათ საჭიროებებს. შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ინიციატორი შესაძლოა იყოს როგორც უნივერსიტეტში დასქამებული პერსონალი, ასევე, დამსაქმებელი, ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარე. ინიცირება განიხილება პროფესიული განათლების დეპარტამენტში და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იქმნება სამუშაო გუნდი, რომელიც შეიმუშავებს პროგრამას;

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას**

აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სრული ზოგად განათლება, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების შესაბამისად და ყოველივე აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნით, უნარებითა ან/და გამოცდილებით პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა დადგენილია დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით. დასაშვებია სხავდასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი. აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ზემოაღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ონლაინ დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 21 მაისი N6-19 დადგენილებით, რაც შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით და მასში გაწერილია პროგრამის დამტკიცების წესი;

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს და უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა ძირითადი ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 21 მაისი N6-19 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილება - 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 მაისი N6-19 და 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილებები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.gu.edu.ge/ge/;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 10 პროფესიული სტუდენტი. სულ 20 პროფესიული სტუდენტი - ორი ცვლისთვის/მიღებისთვის) მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება შესყიდვის დოკუმენტების შესწავლითა და ვიზუალური დათვალიერებით. აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოწყობილია 10 პროფესიული სტუდენტისთვის A/ B/ C ინტეგრირებული გარემო. პროგრამის განხორციელებისთვის გარემო განკუთვნილია როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. კერძოდ, აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, ინდივიდუალური კომპიუტერებით (10 ერთეული პროფესიული სტუდენტისთვის და 1 ერთეული პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის), პრინტერით, პროექტორით და ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დანართით წარმოდგენილი ხელსაწყოებითა და აღჭურვილობით.

პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმები შპს ,,მალხაზ პაიჭაძესთან“ , სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოსთან და შპს ,,გეოსთან“, თითოეულში მითითებული პროფესიული სტუდენტის რაოდენობაა არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტისა, ჯამში არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტისთვის. მემორანდუმები გაფორმებულია უვადოდ მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტა პროგრამაზე შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს, თუმცა ერთდროულად არ იგეგმება 10 პროფესიულ სტუდენტზე მეტის მიღება, შესაბამისად, გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა მიღებისთვის იგი საკმარისია. პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების ინფორმაციით სხვა პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის პრაქტიკული შედეგების მიღწევა ხორციელდება კოლეჯის მფლობელობაში არსებული ინვენტარით საველე პირობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 7 პროფესიული განათლების მასწავლებელთან პროფესიული მოდულების და 9 პროფესიული განათლების მასწავლებელთან ზოგადი და საერთო პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კვირეული საათობრივი დატვირთვა და ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ გააჩნიათ შესაბამისი მოდულების განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს. ამასთან, მათი მოდულების განხორციელების კომპეტენციისა და დარგებში გამოცდილების მიხედვით ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება ექსპერტთა მიერ მათი პირადი საქმეების გადამოწმებისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგების მიხედვით;

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმის გადამოწმებით და ვიზიტის ფარგლებში გასაუბრები. იგი წარმოადგენს დარგის წარმატებულ პრაქტიკოს მუშაკს, რომელსაც კარგად აქვს გააზრებული პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. უნივერსიტეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით მისი ფუნქციაა ჩაერთოს პროგრამის განხორციელების ნაწილში, ვერიფიკაციასა და მასწავლებლების საჭიროებების მიხედვით განახორციელებულ მხარდაჭერის ღონისძიებებში, ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და სხვ.;

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით დაწესებულების ვებგვერდზე, http://gu.edu.ge/ge/library , ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტონული და მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად**

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა;

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა**

პროგრამა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, მასალა ნედლეულის ხარჯს, კომუნალურ გადასახადებს, ძირითადი გადასახადებსას და სხვა ხარჯებს. რენტაბელობა განსაზღვრულია 10 პროფესიული სტუდენტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 21 მაისი N6-19 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილება - 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიულ განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები https://gu.edu.ge/ge/library;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნვერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს. პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში. დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას; პროგრამის შეფასების მექანიზნი ასევეითვალისწინებს დაინტერესებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო პროგრამა.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების ცენტრს. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებული ,,კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს და15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერს.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება რექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შედიან: პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძელზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნას განმეორებით შეფასებაზე გასვლის პრობლემა.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას**

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამის მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე, დაწესებულების ძალებით. სისტემატურად ტარდება ტერენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები**

პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება რექტორი ბრძანებით.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, გაცნობითი პრაქტიკის მოდულის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება დაწესებულების შესაბამის პარტნიორ კომპანიაში, სადაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები შპს ,,მალხაზ პაიჭაძესთან“, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოსთან და შპს ,,გეოსთან“. თითოეულში მითითებული პროფესიული სტუდენტის რაოდენობაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტისა, რაც ჯამში თითო ნაკადზე მისაღები 10 პროფესიული სტუდენტისთვის საკმარისია. მემორანდუმები გაფორმებულია უვადოდ მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით**

პროგრამა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებას სპეციალური უსაფრთხოების წესების დაცვას, შესაბამისად, დაცულია ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 16 ოქტომბერს ბრძანებით N 1-98 და გამოკრულია სასწავლო გარემოში, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 21 მაისი N6-19 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილება - 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. დაწესებულებაში დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებულია განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს და სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით.

ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა უკვე განხორციელებული მოდულის, ერთი პროფესიული სტუდენტის შესრულებული შეფასების ინსტრუმენტი. შეფასების ინსტრუმენტი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს**

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა უკვე განხორციელებული მოდულის, შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის დასკვნა. ვერიფიკაციის პროცესი და დასკვნა შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით**

დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით; დაწესებულებაში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდნტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის**

პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას. დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიულ სტუდენტების მიღწევების ანალიზი, რომელსაც მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი https://gu.edu.ge/uploads/other/11/11161.pdf;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ -2

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ –გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 ივნისის # 6–39 დადგენილება, ცვლილება 08.07.2020 # 6–44
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. გორი, ბესიკის ქ. #2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	50 პროფესიული სტუდენტი, ქ. გორი, ბესიკის ქ. #2
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Editor Free

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლოპროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

9. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
10. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
11. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
12. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
13. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
14. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
15. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
16. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ აღმზრდელი“

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია „სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის #6–27 დადგენილებით (თავი II, მუხლი 2) დოკუმენტის თანახმად, პროფესიული პროგრამის დაგეგმვისა და დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს სასწავლო უნივერსიტეტი, დამსაქმებელი, საინიციატივო ჯგუფი და სხვა. პროგრამის დამატების ინიცირებას და მის მიზანშეწონილობას, რომელიც წერილობითი ფორმითაა შედგენილი, ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად იხილავს დაწესებულების პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი. პროგრამის შემუშავებისა და საავტორიზაციოდ მომზადების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს და ამტკიცებს მის შემადგენლობას. სამუშაო ჯგუფი განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობას და ამასთანავე ერთად შეისწავლის პროგრამისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური, ადამიანური, საბიბლიოთეკო და ფინანსური რესურსების არსებობას დაწესებულებაში.სამუშაო ჯგუფის მიერ განხილული პროგრამის მთლიანი პაკეტი შესათანხმებლად გადაეცემა პროფესიული განათლებლის ცენტრის ხელმძღვანელს, რომელიც თანხმობის შემთხვევაში პროგრამას შეფასებისთვის/დასკვნისთვის გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატების მიზანშეწონილობის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ვგებულობთ, რომ სასწავლო დაწესებულება 2016 წლიდან ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, რომელიც ამჟამად მილევად რეჟიმშია. დაწესებულების თქმით პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის განსაზღვრისას სასწავლო უნივერსიტეტმა გაითვალისწინა საქართველოს შრომის ბაზარზე აღმზრდელის პროფესიაზე არსებული მოთხოვნა სხვადასხვა კვლევის საფუძველზე. პროგრამის დამატების თვალსაზრისით დაწესებულებამ ყურადღება მიაქცია ასევე დამსაქმებელთა ინტერესსა და აპლიკანტთა მომართვიანობას, გაითვალისწინა ქ. გორის ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2020 წლისათვის ბაგა–ბაღებში საჭირო გახდება კვალიფიციური აღმზრდელების დამატება, ვინაიდან ბაგა–ბაღის სერვისის მიღების მსურველთა მომართვიანობის საფუძველზე ბაგა–ბაღებში საჭირო გახდება ახალი ჯგუფების შექმნა, ეს უკანასკნელი კი გამოიწვევს დამატებითი კადრების აუცილებლობას.

უნივერსიტეტის მისიაა: „ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას“. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას.

სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები გაწერილია **სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში** (დამტკიცებული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის #6–29 დადგენილებით, ცვლილება: 2020 წლის 28 მაისის #6–26 დადგენილებით) თავი 3, სადაც განსაზღვრულია: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სუდენტის პირადი საქმის, მობილობის წესის, მიღებული განათლებისა და სწავლის შედეგების აღიარების, **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. ასდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

სსიპ –გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის #6–29 დადგენილებით, ცვლილება: 2020 წლის 28 მაისის #6–26 დადგენილებით) განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. წესის თანახმად უნივერსიტეტი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო სივრცის A,B და C გარემოების არსებობასა და მასში სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის საჭირო რაოდენობას.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ სასწავლო უნივერსიტეტი ითხოვს 50 სტუდენტის მიღებას, ორ ცვლაში.დაწესებულების მიერ სწავლებისათვის გამოყოფილი გარემო საშუალებას იძლევა ცვლებში მიიღოს 50პროფესიული სტუდენტი.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

არჩევითი მოდულები არ აქვს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ აღმზრდელი“ დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 ივნისის #6–39 დადგენილებით(ცვლილება,2020 წლის 08 ივლისის #6–44 დადგენილება).
პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია „სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის #6–27 დადგენილებით (თავი III, მუხლი 11, ქვეპუნქტი 2);

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა “ აღმზრდელი“, იგი არ არის შეცდომაში შემყვანი ვინაიდან შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სკოლამდელი აღზრდის პროფესიასთან. პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; 2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა; 3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება; 4.წარმატებული,უსაფრთხო,მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა;
პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი“ საფუძველზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, , სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევისდადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები.
პროგრამას თან ერთვის ზოგადიდა სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.
მოდულებში აღნიშნულია შეფასებისმიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული)
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 ივნისის #6–39 დადგენილება (ცვლილება,2020 წლის 08 ივლისის #6–44 დადგენილება)
- სსიპ –გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2საგანმანათლებლოპროგრამისგანხორციელებისრესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

8. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
9. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
10. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

11. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
12. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
13. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 25 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც განკუთვნილია, როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ დისტანციურად მოხდა აღნიშნული აუდიტორიის გადამოწმება, აღმოჩნდა,რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო, #6 აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 25 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 25 პროფესიულ სტუდენტზე, 1 კომპიუტერი, 1დაფა, 1 პროექტორი, 1 პრინტერი და 1 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯს სურს 50 სტუდენტის დამატება (ორი ცვლის გათვალისწინებით)

საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა.ა.ი.პ. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოსთან (09.06.2020წ). ხელშეკრულება მიზნად ისახავს, მხარეებს შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
ურთიერთთანამშრომლობას, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „;აღმზრდელის“ ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული პროექტის გავლას სააგენტოს ბაზაზე. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის არაუმეტეს 25 პროფესიული სტუდენტი პრაქტიკის ობიექტით, რომელთაც კოორდინირებას სააგენტოსთან ერთად, გაუწევს დაწესებულების მიერ გამოყოფილი შესაბამისი პირი. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე, სხვა შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან და აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ უპირობოდ და კეთილსინდისიერად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, გარდა ფორს–მაჟორული მდგომარეობისა.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს 15 – ი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 5 ზოგადი და 10 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული მასწავლებლების მიღების წესი და პირობები განსაზღვრულია სსიპ –გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის #6–29 დადგენილებით, ცვლილება: 2020 წლის 28 მაისის #6–26 დადგენილებით) თავი 10;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ პროფესიული მასწავლებლები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ წინარე ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია პროფესიული მასწავლებლის მოვალეობები.

აღსანიშნავია რომ საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელებაში ჩართულია პერსონალი, რომლებიც სასწავლო უნივერსიტეტში 2016 წლიდან ახორციელებდნენ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას და გააჩნიათ მოდულური სწავლების და შეფასების განხორციელების გამოცდილება, პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეებით, მათი გამოცდილებით და გასაუბრების საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული მასწავლებლებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

კოლეჯს პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს კომპეტენტური, დარგის სპეციალისტი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება მისი პირადი საქმით.

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით (25.05.2020). ხელშეკრულების თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია იზრუნოს პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებაზე, ჩაერთოს ვერიფიკაციისა და ფორმალური განათლების აღიარების პროცესში.

ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, გასაუბრებისას დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას შესაბამის დარგობრივ კომპეტენციასთან ერთად აქვს პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილებაც ძველი პროგრამის ფარგლებში და ასევე მონაწილეობა აქვს მიღებული პროგრამის, სასწავლო გეგმისა და მოდულების შემუშავებაში, კალენდარული გეგმების შედგენაში, პრაქტიკის ობიექტების შეჩევასა და ხელშკრულების მომზადებაში, პრაქტიკაზე სტუდენთა დასწრების კოორდინირება/მონიტორინგში; პროგრამისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კვალიფიციური კადრების შერჩევასა და პროგრამის განმახორციელებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სხვადასხვა ტრენინგების, შეხვედრების და სხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზებაში.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, ხოლო ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო.პანდუსი შენობის მთავარ შესასვლელში და სველი წერტილები.

სასწავლო უნივერსიტეტის სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრულია „სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის #6–27 დადგენილებით (მუხლი 6,);

ინსტრუქციის თანახმად სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის. გეგმის ფარგლებში სტუდენტის შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტის მინიჭება– მოდულის/სასწავლო კურსის მოთხოვნებთან მიმართებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია სასწავლო პროცესის ფარგლებში მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს, შეარჩიოს სტუდენტისათვის ეფექტური სწავლების მეთოდები და ასევე დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული გრაფიკი, გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული, შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

***7.* პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „აღმზრდელი“ შედგენილია სავარაუდო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.საპროგნოზობიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 12 პროფესიული სტუდენტი;
შემოსავლების ნაწილი შედგება ვაუჩერული დაფინანსებისაგან; ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს ძირითად და პროგრამულ ხარჯს რომლებშიც შედის: ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, მასალებისა და ნედლეულის ხარჯი, კომუნალური გადასახადები და სხვა ხარჯები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ხელშეკრულებები;
- ბიუჯეტის ფორმა;
- სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ –გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.3საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

3. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
4. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით.საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისებისშემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით.შეფასების კრიტერიუმებსდაკითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულების კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნვერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში.დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას; პროგრამის შეფასების მექანიზმი ასევე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო პროგრამა.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულებაში პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულსტუდენტთა, მასწავლებელთაგამოკითხვასუზრუნველყოფსხარისხისმართვის მენეჯერი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების ცენტრს. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

2.4სასწავლოპროცესისორგანიზებადაპროფესიულსტუდენტთაშეფასება

2.4.1სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

7. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
8. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
9. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
10. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
11. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
12. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწვლო გარემო.უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება რექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძელზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნას განმეორებით შეფასებაზე გასვლის პრობლემა.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მოდულებში, ხოლო დარგის ტექნოლოგიების გამოყენებას უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლები შესაბამისი სიახლეების გაცნობის, მიწოდების და სწავლების პროცესში.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი; სტატუს შეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში; მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი; წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება; პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.ინდივიდუალური გეგმამტკიცდება რექტორი ბრძანებით.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პრაქტიკული პროფესიული მოდულებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა.ა.ი.პ. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოსთან (09.06.2020წ). ხელშეკრულება მიზნად ისახავს, მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობას, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული პროექტის გავლას სააგენტოს ბაზაზე, სასწავლო ექსკურსიით მასპინძლობას და სტუდენტებისთვის სამუშაო გარემოს და პროფესიის სპეციფიკის გაცნობას.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ სპეციფიკა და სასწავლო გარემო უსაფრთხოების რაიმე განსაკუთრებულ პირობებს არ ითვალისწინებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. დაწესებულებაში დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებულია განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს და სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით.

ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა უკვე განხორციელებული მოდულის, ერთი პროფესიული სტუდენტის შესრულებული შეფასების ინსტრუმენტი. შეფასების ინსტრუმენტი შეესაბამება სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს**

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა უკვე განხორციელებული მოდულის, შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის დასკვნა. ვერიფიკაციის პროცესი და დასკვნა შეესაბამება სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით**

დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით; დაწესებულებაში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდნტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის**

პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას. დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიულ სტუდენტების მიღწევების ანალიზი, რომელსაც მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი https://gu.edu.ge/uploads/other/11/11161.pdf;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ - 3

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა/Accounting
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფწსიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში/Higher Vocational Qualification in Accounting

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N 6-30 დადგენილება, „ბუღალტრული აღრიცხვა“ მე-5 დონის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქ.გორი, ჭავჭავაძის 53
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20 სტუდენტი სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქ.გორი, ჭავჭავაძის 53
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას.

დაწესებულებას დატკიცებული აქვს 2020-2027წწ სტრატეგიული გეგმა და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმიდან. სამოქმედო გეგმაში დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამატების საკითხი. დაწესებულებამ წამოადგინა გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელიც ეფუძნება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტს..

დოკუმენტში მოყვანილია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, რომელსაც აქვს მრავალწლიანი გამოცდილება საბუღალტრო აღრიცხვის მიმართულებით უმაღლესი (1982 წ), საბაკალავრო და სამაგისტრო (2006წ.) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა, აქვს ყველა სახის რესურსი, როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური და პროგრამული (ORIS), განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამა.

პროგრამა მოამზადებს და შრომის ბაზარს შესთავაზებს კვალიფიციურ ბუღალტერს, რომელიც შემლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში.

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მერ შემუშავებული პროგრამით, შეესაბამება აღნიშნული პროგრამის ჩარჩო - დოკუმენტის მოთხოვნებს. დაშვების წინაპირობა გათვალისწინებულია სასწავლო გეგმაში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით. აპლიკანტი პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურების გავლის შემდეგ.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მე-15-ე მუხლით განსაზღვრული აქვს („დამტკიცებულია“ 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით, „ცვლილებები შესულია“ 2020 წლის 28 მაისის N6-26 დადგენილებით) „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო (საჭირეობის შემთხვევაში) აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით. დასაშვებია სხავდასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება.

მოსამზადებლად.სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა პროგრამაზე შეადგენს 20 სტუდენტს.

პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით „ბუღალტრული აღრიცხვა“ გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან და უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამაში „ბუღალტრული აღრიცხვა“ არჩევითი მოდულები არ არის წარმოდგენილი.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2019 წლის 12 ივლისის N 6-30 დადგენილებით; პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციით.

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდებაა „ბუღალტრული აღრიცხვა“. აღნიშნული სახელწოდება სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე მისაღწევ სწავლის შედეგებს.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ბუღალტრული აღრიცხვა“ (სარეგისტრაციო ნომერი - 04114-პ) საფუძველზე. ამასთან, ის შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესთან და კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე-ბუღალტრული აღრიცხვა/Accounting, ჩარჩო დოკუმენტის რეგისტრაციის ნომერი 04114-პ, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზ-უმაღლესი პროფწსიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში/Higher Vocational Qualification in Accounting, აღნიშნული კვალიფიკაცია განათლეის საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთნება დეტალურ ფეროს - „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა“,კოდი 0411, აღმწერი - „შეისწავლის ფინანსური ოპერაციების განხორიელებას,აუდიტირებასა და აღრიცხვას“.

პროგრამის მიზანი, კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, მისღწევი სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძვლები, სწავლის შედეგების მირწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაიის მინიჭება.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები: ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს 3 ზოგადი მოდულს 11 კრედიტის მოცულობით (ინფორმაციული წიგნიერება 2, ინგლისური ენა, მეწარმეობა 3) და 16 პროფესიულ მოდულს 88 კრედიტის მოცულობით (ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები – 7 კრედიტი, ძირითადი პირველადი საღრიცხვო დოკუმენტების წარმოება – 3 კრედიტი, სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა – 9 კრედიტი, კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა – 5 კრედიტი, საგადასახადო დეკლარირება – 4 კრედიტი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები – 4 კრედიტი, ინვენტარიზაცია – 2 კრედიტი, ფინანსური ანგარიშგების შედგენა – 8 კრედიტი, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით – 12 კრედიტი, მმართველობითი აღრიცხვა– 8 კრედიტი, Ms Excel – 6 კრედიტი, ბიზნეს ინგლისური – 5 კრედიტი, აუდიტის საფუძვლები – 2 კრედიტი, ეკონომიკური ანალიზი – 5 კრედიტი, გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა – 2 კრედიტი, პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება – 6 კრედიტი.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა- საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 99 კრედიტს ქართულენოვანი სტუდენტებისათვის (პროგრამის ხანგრძლივობა - 66 კვირა), პროგრამის მოცულობა არაქათულენოვანი სტუდენტებისთვის - 129 კრედიტი (პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 86 კვირა).

დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შეიცავს პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი-(„დამტკიცებულია“ 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით, „ცვლილებები შესულია“ 2020 წლის 28 მაისის N6-26 დადგენილებით);
- პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ (სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N 6-30 დადგენილეა);
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა შვიდ წლიანი 2020-2027 წწ;
- (სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია („დამტკიცებულია“ 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით, „ცვლილებები შესულია“ 2020 წლის 28 მაისის N6-26 დადგენილებით);
- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- სასწავლო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები (დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით);
- ინტერვიუირება კოლეჯის წარმომდგენლებთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.4.3 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს აქვს მდიდარი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი, რაც გამოიყენება სასწავლო უნივერსიტეტის მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება ავტორიზაციის გზით დამატების მიზნით წარდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. დისტანციური ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „ბუღალტული აღრიცხვა“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწესებულების მიერ საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების რაოდენობა შეესაბამება პსდ-ს მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. A, B და C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით გათვალის-წინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ: A - B (აუდიტორია N302, IV კორპუსი, აღმაშენებლის ქ.N124, ქ.გორი) გარემოში განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (ერთ ცვლაში), რომელიც განკუთვნილია როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, ინდივიდუალური კომპიუტერებით სადც ჩატვირთულია *(ORIS)* პროგრამა (21 ერთეული (20+1), პრინტერითა და პროექტორით,ფლეშ-მეხსიერება.

ჩარჩო დოკუმენტით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“, არ არის გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის მოდული და სწავლება პრაქტიკის ობიექტზე. თუმცა დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შემდეგ დაწესებულებებთან: გორის მუნიციპალიტეტის მერია, შ.პ.ს „გითანა“ , შ.პ.ს „გორელლი“, სსიპ ქ.გორის №2 საჯარო სკოლა, სსიპ ქ.გორის №4 საჯარო სკოლა ,სსიპ ქ.გორის №10 საჯარო სკოლა.

ექსპერტთ შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ხოცილდება 9 პროფესიული განათლებლის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდლების მქონე მასწავლებლით.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროგრამის განმახორციელებელ პირებს გააჩნიათ სწავლის შედეგის გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიულ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს რამდენიმე მათგანი ჩართულია მოდულური პროგრამებით სწავლებაში.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება მარეგულირებელი დებულების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, კვალიფიკაცია: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი-- სააღრიცხვო ეკონომისტი, გამოცდილება: გორის მუნიციპალიტეტის მერია- შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგისა და დავალებათა კონტროლის განყოფილების უფროსი 2015 წლიდან -დღემდე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - მოწვეული სპეციალისტი, 2010 წლიდან დღემდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული მასწავლებელი.

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუსა და მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

დაწესებულებას აქვს პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, როგორც როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით, რაც დადასტურდა დისტანციური გასაუბრების დროს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://gu.edu.ge/ge/library).ასევე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში მატერიური სახით.

ექსპერტთ შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, მტკიცდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა;

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი.პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. შემოსავლების ნაწილში ვაუჩერი განისარვრება 20 პროფესიულ სტუდენტზე და პროგრამული დაფინანსება ჯამში -62280 ლარია. ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია ამ პროგრამის მიზნებისთვის პირდაპირ გასაწევი და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ხარჯები.ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასი (სულ-25620, ბიუჯეტის 41%) ,ძირითადი საშუალებების ცვეთა წლიური(სულ-15000,ბიუჯეტის-23%), კომუნალური გადასახადები (სულ-10000,ბიუჯეტის- 16%), მასალა და ნედლეული (სულ-700,ბიუჯეტის-0,9%), სხვა ხარჯები(სულ-600,ბიუჯეტის- 0.11%) .რენტაბელობის ზღვარი არის 16 სტუდენტი.

პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ (სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N 6-30 დადგენილება);
- განაცხადით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია („დამტკიცებულია“ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით) მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი („დამტკიცებულია“ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით. „ცვლილებები შესულია“ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-26 დადგენილებით) მუხლი 15. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღრა პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით და მასთან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერება.
- ვებ-გვერდით www.gu.edu.ge;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით;
- განაცხადის დანართი 5- პროგრამის ბიუჯეტით;
- განაცხადის დანართი 4 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- განაცხადის დანართი 3 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;**

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „საგანმანათლებლო პროგრამა“) განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად.

აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

- “დაგეგმე“ - წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების განსაზღვრას, განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის შემუშავებასა და მათ გამოცხადებას (გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის);
- „განახორციელე“ - დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- „შეამოწმე“ - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას;
- „განავითარე“ - შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების დადგენას, მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას (ან, ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში, არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმების შემუშავებას) და დაწესებულების სათანადო სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენას მათზე რეაგირების მიზნით;

შეფასება ხორციელდება წლის განმავლობაში ერთხელ, თუ პროგრამა საშუალოდ 1-წლიანია; თუ პროგრამა ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობისაა, შეფასება ხორციელდება ყოველ წელს; პროგრამების შეფასება ხორციელდება როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით.შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად,

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების ცენტრს. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მარეგულირებელი წესით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით;
- კითხვარის ფორმებით;
- გამოკითხვის შედეგებით;
- გასაუბრების შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ შედგენილია სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების შესაბამისად. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს დაწესებულების რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად. კალენდარულ გეგმას შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერსა და სასწავლო პროცესის მენეჯერს.გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;სასწავლო გეგმით განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას. საჭიროების შემთხვევაში შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო.

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

7. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

„ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. გამოიყენება თანამედროვე კომპიუტერული პროგრამა „ორისი“. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ აქვთ საბუღალტრო სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, კარგად ფლობენ დარგში არსებულ ტექნოლოგიებს,სხვადასხვა საბუღალტრო პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ზრუნავს პროფესიული მასწავლებლების პროფესიულ გამვითარება/კვალიფიკაციის ამაღლებაზე. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური წვდომა საგანამანთლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/სასწავლო კურსს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/სასწავლო კურსის მოთხოვნებთან მიმართებით.
სწავლის დაწყებიდან მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სასწავლო საჭიროებ (ებ)ის შესახებ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად. პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების თხოვნით მიმართავს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს და წარუდგენს სათანადო დოკუმენტაციას. პროფესიული სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, პროფესიული სტუდენტის ჩართულობით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაბამისი მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
მასწავლებლის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის თანამონაწილეობით. საჭიროების შემთხვევაში, ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან.
პროფესიული განათლების ცენტრი ამზადებს დასკვნას, რაც წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ჩარჩო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“, არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას, მაგრამ პრაქტიკული კომპონენტის სწავლება უზრუნველყოფილია პროფესიული პროგრამის A-B გარემოს მეშვეობით. თუმცა დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შემდეგ დაწესებულებებთან: გორის მუნიციპალიტეტის მერია, შ.პ.ს „გითანა“ , შ.პ.ს „გორელლი“, სსიპ ქ.გორის №2 საჯარო სკოლა, სსიპ ქ.გორის №4 საჯარო სკოლა ,სსიპ ქ.გორის №10 საჯარო სკოლა.

პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბუღალტრო აღრიცხვა“ სპეციფიკა და სასწავლო გარემო უსაფრთხოების რაიმე განსაკუთრებულ პირობებს არ ითვალისწინებს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):.

- პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ (სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N 6-30 დადგენილება);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია („დამტკიცებულია“ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით) მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი („დამტკიცებულია“ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით. „ცვლილებები შესულია“ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-26 დადგენილებით) მუხლი **15.** პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღრა პროფესიულ **(**მოდულურ**)** საგანმანათლებლო პროგრამაზე**;**
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით და მასთან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერება.
- სასწავლო გეგმა;
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

სამუშაო ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ შეფასების ინსტრუმენტი იქნა გამოთხოვილი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტი არის ვალიდური, სანდო, გამჭირვალე,სამართლიანი და ობიექტური.
პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი, ანუ შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის მიმართულებებია: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია; შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვ. შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტების ჩართულობაც. დაუშვებელია, რომ პირმა, რომელმაც ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, შეამოწმოს იგივე ინსტრუმენტი
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რის საფუძველზეც,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში. შესრულების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით

პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. ექსპერტთ შესაფებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მირწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შესაბამისი პროექტის დამტკიცების შესახებ (18.062020 წლის, ბრძანება 1-47.);
- სწავლის შედეგების შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმებით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ-4

პროგრამის სახელწოდება	საოფისე საქმე/Office Work
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმესი/Secondry Vocational Qualification in Office Work

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0415
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N 6-30 დადგენილება, „საოფისე საქმე“ მე-4 დონის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქ.გორი, ჭავჭავაძის 53
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20 სტუდენტი სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქ.გორი, ჭავჭავაძის 53
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	89 კრედიტი

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Editor Free

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას.

დაწესებულებას დატკიცებული აქვს 2020-2027წწ სტრატეგიული გეგმა და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმიდან. სამოქმედო გეგმაში დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის „საოფისე საქმე“ დამატების საკითხი.სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა, წამოადგინა გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელიც ეფუძნება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტს. დოკუმენტში მოყვანილია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, რომელსაც აქვს საკმაოდ მოცულობითი საქმისწარმოების სისტემა და დოკუმენტბრუნვა, 1935 წლიდან არსებული არქივი, იურიდიული სამსახური და სხვ. სტრუქტურული ერთეულები, 2015 წლიდან კი ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eflow), გადაწყვიტა განახორციელოს საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საოფისე საქმე“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მერ შემუშავებული პროგრამით, შეესაბამება აღნიშნული პროგრამის ჩარჩო - დოკუმენტის მოთხოვნებს. დაშვების წინაპირობა გათვალისწინებულია სასწავლო გეგმაში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით. აპლიკანტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საქართველოს კანონმდებლობითა და სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურების გავლის შემდეგ.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მე-15-ე მუხლით განსაზღვრული აქვს („დამტკიცებულია“ 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით, „ცვლილებები შესულია“ 2020 წლის 28 მაისის N6-26 დადგენილებით) „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი.

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა პროგრამაზე შეადგენს 20 სტუდენტს.

პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით „საოფისე საქმე“ გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან და უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამაში „საოფისე საქმე“ არჩევითი მოდულები არ არის წარმოდგენილი.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2019 წლის 12 ივლისის N 6-30 დადგენილებით; პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციით.

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდებაა „საოფისე საქმე“. აღნიშნული სახელწოდება სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე მისაღწევ სწავლის შედეგებს.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „საოფისე საქმე“ (სარეგისტრაციო ნომერი - 04119-პ) საფუძველზე. ამასთან, ის შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესთან და კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე-საოფისე საქმე/Office Work, ჩარჩო დოკუმენტის რეგისტრაციის ნომერი 04119-პ, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმესი/Secondry Vocational Qualification in Office Work, აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთნება დეტალურ ფეროს - „სამდივნო და საოფისე საქმის“,კოდი 0415, აღმწერი - „შეისწავლის ადმინისტრაციულ პორცედურებსა და პრაქტიკას,საოფისე ტექნოლოგიებს,საკანცელარიო საქმეს,სტენოგრაფიასა და ბეჭდის უნარებს.ასევე მოიცავს სპეციალირიზებულსაოფიეს/სამდივნო პროგრამებს (ბილინგვური,სამედიცინო,იურიდიული,საბუღალტრო და ა.შ),თუ მათი მიზანია საოფისე საქმე და არა სპეციალიზაციით მომუშავე თანამშრომლის მომზადება“.

პროგრამის მიზანია,უზრუნველყოს კვალიფიციური ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალის მომზადება,რომელიც შეძლებს საკუთარი კომპენტენციის ფარგლებში დაწესებულების აქტივობების დაგეგმვას,მართვას და დაწესებულების დოკუმენტბრუნვის წარმოებას.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები: ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს 5 ზოგადი მოდულს -15 კრედიტის მოცულობით (ინფორმაციული წიგნიერება 1 -3კრედიტი, უცხო ენა-5კრედიტი, მეწარმეობა 2-2კრედიტი,რაოდენობრივი წიგნიერება - 2კრედიტი, ინტერპერსონალური კომუნიკაცია - 3კრედიტი) და 14 პროფესიულ მოდულს 39 კრედიტის მოცულობით (გაცნობითი პრაქტიკა საოფისე საქმეში – 1 კრედიტი, დოკუმენტების რეკვიზიტებისა და ბლანკების გაფორმება – 2,5 კრედიტი, კორესპოდენციის ორგანიზება – 2,5 კრედიტი, საინფორმაციო-სნობარო დოკუმენტების წარმოება – 2,5 კრედიტი, ნორმატიული აქტების გამოყენება – 2 კრედიტი, მართველობითი დოკუმენტების მომზადება – 3 კრედიტი, დოკუმენტების არქივისთვის გადასაცემად მმზადება – 5 კრედიტი, ადმინისტრაციული ასისტირება – 5 კრედიტი, საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადება – 1,5 კრედიტი, სოფისე სეხვედრებისა და ღონისძიებების დაგეგმვა– 2 კრედიტი, საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობა – 1 კრედიტი, საოფისე და სამეურნეო მარაგების მართვა – 3 კრედიტი, მენეჯმენტის ზოგადი კონცეციები და საკადრო დოკუმენტაციის წარმოება – 4 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა – 4 კრედიტი.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა- საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 59 კრედიტს ქართულენოვანი სტუდენტებისათვის (პროგრამის ხანგრძლივობა - 40 კვირა), პროგრამის მოცულობა არაქათულენოვანი სტუდენტებისთვის - 89 კრედიტი (პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 60 კვირა).

დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შეიცავს პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი-(„დამტკიცებულია“ 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით, „ცვლილებები შესულია“ 2020 წლის 28 მაისის N6-26 დადგენილებით);
- პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ (სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N 6-30 დადგენილეა);
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა შვიდ წლიანი 2020-2027 წწ;
- (სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია („დამტკიცებულია“ 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით, „ცვლილებები შესულია“ 2020 წლის 28 მაისის N6-26 დადგენილებით);
- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- სასწავლო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები (დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით);
- ინტერვიუირება კოლეჯის წარმომდგენლებთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს აქვს მდიდარი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი, რაც გამოიყენება სასწავლო უნივერსიტეტის მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება ავტორიზაციის გზით დამატების მიზნით წარდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. დისტანციური ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „საოფისე საქმე“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწესებულების მიერ საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების რაოდენობა შეესაბამება პსდ-ს მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. A, B და C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით გათვალის-წინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ: **A** - B (აუდიტორია N208, IV კორპუსი, აღმაშენებლის ქ.N124, ქ.გორი) გარემოში განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (ერთ ცვლაში), რომელიც განკუთვნილია როგორც თეორიული და ჯგუფური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, ინდივიდუალური კომპიუტერებით (21 ერთეული (20+1), პრინტერითა და პროექტორით.

ჩარჩო დოკუმენტით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა „საოფისე საქმე“, პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გორის მუნიციპალიტეტი მერი, გორის მუნიციპალიტეტი საკრებულო, სსიპ ქ.გორის №4 საჯარო სკოლა , რომელთა მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას (რაც დადასტურდა საწარმოო პრაქტიკის ვიზუალური დათვალიერებით და პრაქტიკულ კომპონენტზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით.)

ექსპერტთ შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ ხოცილდება 14 პროფესიული განათლების შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდლების მქონე მასწავლებლით.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამის განმახორციელებელ პირებს გააჩნიათ სწავლის შედეგის გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიულ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს რამდენიმე მათგანი ჩართულია მოდულური პროგრამებით სწავლებაში.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება მარეგულირებელი დებულების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, კვალიფიკაცია: ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - მაგისტრი - რადიოფიზიკა და კომპიუტერული ტექნოლოგიები, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ბაკალავრი - ფიზიკის,მათემატიკის და ინფორმატიკი მასწავლებელი . გამოცდილება: გორის მუნიციპალიტეტის მერია - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების ხელმძღვანელი . გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული მასწავლებელი.

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუსა და მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებას აქვს პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, როგორც როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით, რაც დადასტურდა დისტანციური გასაუბრების დროს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://gu.edu.ge/ge/library).ასევე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში მატერიური სახით.

ექსპერტთ შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, მტკიცდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი.პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. შემოსავლების ნაწილში ვაუჩერი განისარვრება 20 პროფესიულ სტუდენტზე და პროგრამული დაფინანსება ჯამში -46600 ლარია. ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია ამ პროგრამის მიზნებისთვის პირდაპირ გასაწევი და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ხარჯები.ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასი (სულ-17085, ბიუჯეტის 39%) ,ძირითადი საშუალებების ცვეთა წლიური(სულ-7000,ბიუჯეტის-15%), კომუნალური გადასახადები (სულ-3900,ბიუჯეტის- 20%), მასალა და ნედლეული (სულ-1000,ბიუჯეტის-13%), სხვა ხარჯები(სულ-1000,ბიუჯეტის- 31%) .რენტაბელობის ზღვარი არის 15 სტუდენტი.

პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ (სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N 6-30 დადგენილება);
- განაცხადით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია („დამტკიცებულია“ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით) მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი („დამტკიცებულია“ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით. „ცვლილებები შესულია“ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-26 დადგენილებით) მუხლი 15. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღრა პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით და მასთან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერება.
- ვებ-გვერდით www.gu.edu.ge;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით;
- განაცხადის დანართი 5- პროგრამის ბიუჯეტით;
- განაცხადის დანართი 4 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- განაცხადის დანართი 3 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „საგანმანათლებლო პროგრამა“) განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად.

აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

- “დაგეგმე“ - წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების განსაზღვრას, განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის შემუშავებასა და მათ გამოცხადებას (გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის);
- „განახორციელე“ - დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- „შეამოწმე“ - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას;
- „განავითარე“ - შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების დადგენას, მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას (ან, ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში, არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმების შემუშავებას) და დაწესებულების სათანადო სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენას მათზე რეაგირების მიზნით;

შეფასება ხორციელდება წლის განმავლობაში ერთხელ, თუ პროგრამა საშუალოდ 1-წლიანია; თუ პროგრამა ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობისაა, შეფასება ხორციელდება ყოველ წელს; პროგრამების შეფასება ხორციელდება როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით.შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად;

დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად,

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების ცენტრს. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მარეგულირებელი წესით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით;
- კითხვარის ფორმებით;
- გამოკითხვის შედეგებით;
- გასაუბრების შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საოფისე საქმე“ შედგენილია სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების შესაბამისად. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს დაწესებულების რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად. კალენდარულ გეგმას შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერსა და სასწავლო პროცესის მენეჯერს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო გეგმის შესწავლისას გამოიკვეთა შემთხვევა, მოდულის „საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე“ დაწყებამდე გეგმაში არ იყო დაცული მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი. მოდულის „საწარმოო პრაქტიკა-საოფისე საქმე“ წინაპირობაა ყველა პროფესიული მოდული. კერძოდ, მოდულის „ადმინისტრაციული ასისტირება“, მოდულის „საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადება“, მოდულის „ მენეჯმენტის ზოგადი კონცეფციები და საკადრო დოკუმენტაციის წარმოება“,სამოვე მოდულის დასრულების შემდეგ იწყებოდა მოდული „საწარმოო პრაქტიკა-საოფისე საქმე“. პროფესიულ სტუდენტს შიდა რეგულაციებით აქვს უფლება შეფასების ვერ ან არ მიღების შემთხვევაში ორჯერ გადააბაროს შედეგი. - დაწესებულებამ წარმოადგინა შეცლილი დოკუმენტი და ხარვეზი იქნა გამოსწორებული.

პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;სასწავლო გეგმით განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას. საჭიროების შემთხვევაში შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო.

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

„საოფისე საქმე“ პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ აქვთ საოფისე საქმესი სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, კარგად ფლობენ დარგში არსებულ ტექნოლოგიებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ზრუნავს პროფესიული მასწავლებლების პროფესიულ გამვითარება/კვალიფიკაციის ამაღლებაზე. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური წვდომა საგანამანთლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/სასწავლო კურსს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/სასწავლო კურსის მოთხოვნებთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სწავლის დაწყებიდან მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სასწავლო საჭიროებ (ებ)ის შესახებ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად. პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების თხოვნით მიმართავს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს და წარუდგენს სათანადო დოკუმენტაციას. პროფესიული სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, პროფესიული სტუდენტის ჩართულობით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაბამისი მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის თანამონაწილეობით. საჭიროების შემთხვევაში, ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან.
პროფესიული განათლების ცენტრი ამზადებს დასკვნას, რაც წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ჩარჩო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა „საოფისე საქმე“, ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტებში შესაბამისი პრაქტიკული უნარების განვითარებას. სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტმა საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველყოფისათვის მემორანდუმები გააფორმა შემდეგ დაწესებულებებთან: გორის მუნიციპალიტეტის მერია, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სსიპ ქ.გორის №4 საჯარო სკოლა.დათვალიერების შედეგად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველოფს პროფესიულ სტუდენტებში საწარმოო პრაქტიკით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული ორგანიზაციების პრაქტიკის პერიოდში პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე პასუხისმგებელია პრაქტიკის ობიექტები.

პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ სპეციფიკა და სასწავლო გარემო უსაფრთხოების რაიმე განსაკუთრებულ პირობებს არ ითვალისწინებს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):.

- პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ (სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N 6-30 დადგენილება);
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია („დამტკიცებულია“ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით) მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი („დამტკიცებულია“ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით. „ცვლილებები შესულია“ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-26 დადგენილებით) მუხლი 15. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღრა პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით და მასთან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერება.
- სასწავლო გეგმა;
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

სამუშაო ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ შეფასების ინსტრუმენტი იქნა გამოთხოვილი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტი არის ვალიდური, სანდო, გამჭირვალე,სამართლიანი და ობიექტური. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი, ანუ შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის მიმართულებებია: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია; შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, ადმინისტრაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
წარმომადგენლები და სხვ. შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტების ჩართულობაც. დაუშვებელია, რომ პირმა, რომელმაც ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, შეამოწმოს იგივე ინსტრუმენტი

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რის საფუძველზეც, სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში. შესრულების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით

პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის;

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. ექსპერტთ შესაფებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მირწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შესაბამისი პროექტის დამტკიცების შესახებ (18.062020 წლის, ბრძანება 1-47.);
- სწავლის შედეგების შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმებით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ - 5

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები/Finance Services
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში/ BasicVocational Qualification in Finance Service
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 8 ივლისის N 6-44 დადგენილება, „საფინანსო სერვისები“ მე-3 დონის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქ.გორი, ჭავჭავაძის 53
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 სტუდენტი სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქ.გორი, ჭავჭავაძის 53
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	51 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Reader Text

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის სტული საშუალო განათლება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
კომპიუტერული ქსელი და სისტემები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მერ შემუშავებული პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას.
პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია „პროფესიულ სტუდენტთაჩარიცხვის წესით“ (საქართველოს განათლებისა დამეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულიტესტირების ჩატარების დებულება, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კომპიუტერული ქსელი და სისტემებიპროფესიულ საგანმანათლებლოპროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა (30პროფესიული სტუდენტი) გათვლილია და შესაბამისობაშია დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან.

ამჟამად დაწესებულებაში არის 15 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.
პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღრა პროფესიულ **(**მოდულურ**)** საგანმანათლებლო პროგრამაზე**.**
1. უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. 2. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. 3. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით. 4. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით.

5. დასაშვებია სხავდასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.
6. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A, B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა.
8. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

9. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს.

10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი.

11. ოც პროფესიულ სტუდენტზე უნივერსიტეტს ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

12. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაცის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების კომპიუტერული ქსელი და სისტემები პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამისგანხორციელებისთვის გამოყოფილია B გარემო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით და მასალა-ნედლეულით.

პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია დაწესებულების ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამა არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ; 2020 წლის 21 მაისი N6-19 დადგენილებით; საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება არ განხორციელებული დამტკიცების შემდეგ. ასევე არ შეცვლილა სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ერთერთი კონცენტარციის „კომპიუტერული ქსელი დ ასისტემები“ სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს,პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს, უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა;
- პროგრამის საგანმანათლებლო რესურსები.
- დაწესებულების ვებგვერდით: https://gu.edu.ge/ge/
- დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
- კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება
- მარეგულირებელი წესი, მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამა ხორციელდება #207 აუდიტორიაში, რომელიც გამოყენებულია როგორც B გარემო სწავლებისთვის. დაწესებულების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; (ჯგუფში 15პროფ სტუდენტი. სულ 30 სტუდენტი - ორ ცვლაში). პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი ასახულია პროგრამის დანართი4-ით, რომლის არსებობაც ადგილზე დასტურდება მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

დაწესებულების პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამას ახორციელებს 9 პროფესიული მასწავლებელი; ისინი გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობენ სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და სხვ).

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; რაც დასტურდება დაწესებულების შინაგანაწესისა და მასწავლებელთა პირადი საქმეებით. ასევე, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიურებით, სასწავლო მეცადინეობებზე დასწრების შედეგების ანალიზით, რომელიც ხორციელდება დაწესებულების მონიტორინგის ჯგუფის მიერ.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; პროგრამის ხელმძღვანელი. მას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია, რომლითაც უდასტურდება კომპიუტერული ტექნოლოგიების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და აღნიშნული პროფილით მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ონლაინ შეხვედრისას, ექსპერტების მიერ დათვალიერებული იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი კომპიტერული ტექნიკით (კომპიუტერით, კომბაინით (პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი)) უწყვეტი ინტერნეტკავშირით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის/მკითხველის უფლებები. წესი განთავსებულია ასევე დაწესებულების ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდზე ასევე განთავსებული წიგნადი ფონდის, მათ შორის ელექტრონული, ჩამონათვალი, სადაც საბიბლიოთეკო წესის მოთხოვნების შესაბამისად არაა რესურსი იდენტიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით დაწესებულების ვებ გვერდზე,(http://gu.edu.ge/ge/library), ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტონული და მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
პროგრამა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სწავლება ფინანსდება სამინისტროსმიერ ვაუჩერული დაფინანსებით. საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს პროგრამის ბიუჯეტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდით https://gu.edu.ge/ge/;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფ.პროგრამა, გაფორმებული ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF EraserFree

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნვერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს. პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში. დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას; პროგრამის შეფასების მექანიზნი ასევეითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო პროგრამა.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების ცენტრს. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულების რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს და15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერს.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება რექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძელზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნას განმეორებით შეფასებაზე გასვლის პრობლემა.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას**

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამის მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე, დაწესებულების ძალებით. სისტემატურად ტარდება ტერენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები**

პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება რექტორი ბრძანებით.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით**

დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, გაცნობითი პრაქტიკის მოდულის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება დაწესებულების შესაბამის პარტნიორ კომპანიაში, სადაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები შპს „მასტერ-პლიუსი“ ს/კ417874795 და საზოგადოება „ბილიკი“ ს/კ217889300 გაცნობითი პრაქტიკის მოდულის განხორციელებისთვის. თითოეულში მითითებული პროფესიული სტუდენტის რაოდენობაა არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტისა, რაც ჯამში თითო ნაკადზე მისაღები 15 პროფესიული სტუდენტისთვის საკმარისია. მემორანდუმები გაფორმებულია უვადოდ მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით**

პროგრამა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებას სპეციალური უსაფრთხოების წესების დაცვას, შესაბამისად, დაცულია ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 16 ოქტომბერს ბრძანებით N 1-98 და გამოკრულია სასწავლო გარემოში, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 21 მაისი N6-19 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილება - 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური; დაწესებულებაში დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლისN1-42 ბრძანებით დამტკიცებულია განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლრომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

დაწესებულების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურის შემუშავება-დანერგვის შესახებ აქტივობები. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; ვერიფიკაციის პროცედურაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით; დაწესებულებაში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდნტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება პროფესიული განათლლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დაწესებულების შეფასების სისტემა გულისხმობს განმავთარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. რომელთა განხორციელებისას აუცილებლად ხორციელდება უკუკავშირი პროფესიულ სტუდენტთან მათი ცოდნის/უნარების შემდგომი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელიწესი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ -7

პროგრამის სახელწოდება	რძის პროდუქტების წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში.
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0721
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	მის: ქ.გორი ბესიკის ქ.2 ჭონქაძის ქ. 53
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	10 პროფესიული სტუდენტი
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

<u>რძის პროდუქტების წარმოება</u>

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას**

დაწესებულება განსახილველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „რძის პროდუქტების წარმოება“ ახორციელებს 2019 წლიდან და გადაწყვეტილება მისი განხორციელების შესახებ ეფუძნება რეგიონის მოთხოვნებს, კვალიფიციური კონკურენტუნარიანი კადრით უზრუნველყოფას, დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, რომ მათ მიერ განხორციელდა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, ისინი უშუალო კონტაქტებს ამყარებენ დამსაქმებლებთან- ფერმერებთან და მეწარმეებთან, იყენებენ სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს, დამსაქმებლებთან მუდმივი თანამშრომლობით აზუსტებენ მათ საჭიროებებს. შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ინიციატორი შესაძლოა იყოს როგორც უნივერსიტეტში დასქამებული პერსონალი, ასევე, დამსაქმებელი, ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარე. ინიცირება განიხილება პროფესიული განათლების დეპარტამენტში და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იქმნება სამუშაო გუნდი, რომელიც შეიმუშავებს პროგრამას;

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას**

„რძის პროდუქტების წარმოება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების შესაბამისად და ყოველივე აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნით, უნარებითა ან/და გამოცდილებით პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით**

„რძის პროდუქტების წარმოება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა დადგენილია დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით, კერძოდ რძის პროდუქტების წარმოებისათვის აუცილებელი დანადგარებით, ლაბორატორიული ინვენტარით და აპარატურით.. დასაშვებია სხავდასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე-რძის გადამამაუშავებელ საწარმოში. შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი. „ რძის პროდუქტების წარმოება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ზემოაღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ონლაინ დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „რძის პროდუქტების წარმოება“ გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება „ არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“ დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 12 ივნისი N6-30 დადგენილებით, რაც შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციით, რომელიც შემდგომში დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით (ცვლილებები) და მასში გაწერილია პროგრამის დამტკიცების წესი;

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის „რძის პროდუქტების წარმოება“ სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს**

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს და უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა ძირითადი ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „რძის პროდუქტების წარმოება“ დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 12 ივნისი N6-30 დადგენილებით.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.gu.edu.ge/ge/;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,რძის პროდუქტების წარმოება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ჯგუფში 10 პროფესიული სტუდენტი. მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება შესყიდვის დოკუმენტების შესწავლითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვიზუალური დათვალიერებით. აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოწყობილია 10 პროფესიული სტუდენტისთვის A და C ინტეგრირებული გარემო. პროგრამის განხორციელებისთვის გარემო განკუთვნილია როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. კერძოდ, აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, ინდივიდუალური კომპიუტერებით (10 ერთეული პროფესიული სტუდენტისთვის და 1 ერთეული პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის), პრინტერით, პროექტორით და ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დანართით წარმოდგენილი ხელსაწყოებითა და აღჭურვილობით.

პროგრამის ფარგლებში, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი უნივერსიტეტის რძის გადამამუშავებელ სასწავლო საწარმოსთან, რომელიც იჯარითაა გადაცემული [redacted] ასევე მემორანდუმია გაფორმებული შპს „ სანტე ჯი ემ ით“-ი და შპს ,,ფიფქია“ ნაყინის წასარმოსთან, არაუმეტეს 10 პროფესიული სტუდენტისთვის. მემორანდუმები გაფორმებულია უვადოდ მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რძის პროდუქტების წარმოება“ ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 9 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კვირეული საათობრივი დატვირთვა და ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ გააჩნიათ შესაბამისი მოდულების განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს. ამასთან, მათი მოდულების განხორციელების კომპეტენციისა და დარგებში გამოცდილების მიხედვით ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება ექსპერტთა მიერ მათი პირადი საქმეების გადამოწმებისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგების მიხედვით;

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმის გადამოწმებით და ვიზიტის ფარგლებში გასაუბრებით. იგი წარმოადგენს დარგის წარმატებულ პრაქტიკოს მუშაკს, რომელსაც კარგად აქვს გააზრებული პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. უნივერსიტეტის მარეგულირებელიო დოკუმენტების მიხედვით მისი ფუნქციაა ჩაერთოს პროგრამის განხორციელების ნაწილში, ვერიფიკაციასა და მასწავლებლების საჭიროებების მიხედვით განხორციელებულ მხარდაჭერის ღონისძიებებში, ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და სხვ.;

ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა უკვე განხორციელებული მოდულის, ერთი პროფესიული სტუდენტის შესრულებული შეფასების ინსტრუმენტი. შეფასების ინსტრუმენტი შეესაბამება სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა.

ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა უკვე განხორციელებული მოდულის, შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის დასკვნა. ვერიფიკაციის პროცესი და დასკვნა შეესაბამება სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით; დაწესებულებაში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდნტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას. დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიულ სტუდენტების მიღწევების ანალიზი, რომელსაც იყენებს მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი https://gu.edu.ge/uploads/other/11/11161.pdf;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	მის: ქ.გორი, ბესიკის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	50 პროფესიული სტუდენტი
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ფარმაცია (სააფთიაქო)

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი პროფსიულ საგანმანათლებლო პროგრამას ფარმაცია (სააფთიაქო) ახორციელებს 2020 წლიდან. დაწესებულების ერთერთი პრიორიტეტული სტრატეგიული მიმართულებაა საზოგადოებისათვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, რისთვისაც უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროფესიული განათლების ცენტრი“. დაწესებულების მიერ შესწავლილ იქნა კვლევა სათაურით „ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში“,რომელიც განხორციელდა 2016 წელს საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს- Tranparency Inernational Georgia, დაკვეთით (კვლევის ავტორი ნუცა თოხაძე); ნაშრომი მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს sida-ს მხარდაჭერით.ეს ამ ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მეორე კვლევაა, პირველი ჩატარდა 2012 წელს. კვლევები ცალსახად ითვალისწინებს ფარმაცევტული ბიზნესის განვითარების პერსპექტივებს და მის აუცილებლობას ქართული ეკონომიკისათვის, ქართული ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან მედიკამენტების წარმოების განვითარებას და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, რაც სფეროს კომპეტენტური სპეციალისტების ჩართულობას გულისხმობს, ამდენად, ეს კვლევა ფარმაციის პორფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი არგუმენტია. ამავდროულად დღევანდელი საქართველოს(მსოფლიოს) -პრობლემა/გამოწვევამ, პანდემია ახალი კოვიდი19, რომელმაც კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს სამედიცინო მიმართულების, კერძოდ ფარმაციაში მაკალკვალიფიციური კადრების დეფიციტი და საჭიროება. შესაბამისად, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, დაწესებულების მისიას სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის დებულებით განსაზღვრულ მიზნებს და ამოცანებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას და ამავე ცენტრის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესი წარიმართა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიით, რომელიც სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით არის განსაზღვრული. (დამტკიცებულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 21.05. 2020 წლის N6-19 დადგენილებით. ცვლილებები შესულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 8 ივლისის N6-43 დადგენილებით).

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მერ შემუშავებული პროგრამით, შეესაბამება აღნიშნული პროგრამის ჩარჩო - დოკუმენტის მოთხოვნებს და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. დაშვების წინაპირობა გათვალისწინებულია სასწავლო გეგმაში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
(მუხლი 15), რომელიც დამტკიცებულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით (ცვლილება 2020 წლის 28 მაისის N6-26 დადგენილება)

დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა და ადამიანური რესურსი.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფარმაცევტულ კომპანია სს "გეფასთან" სადაც პრაქტიკულ კომპონენტს გაივლიან პროფესიული სტუდენტები იმ კვალიფიციური სპეციალისტების უშუალო ხელმძღვანელობით, რომლებიც დასაქმებულნი არიან ამ კომპანიის სააფთიაქო ქსელში. გასათვალისწინებელია, ასევე ამ სააფთიაქო ქსელის დამსაქმებელის ინტერესი და მოთხოვნა კვალიფიციური კადრის მიმართ, რომელიც უზრუნველყოფს შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეების მომსახურებას, სააფთიაქო სფეროში დასაქმების მიზნით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება აღნიშნულ ორგანიზაციასთან 3 წლის ვადით და პროფესიულ სტუდენტთა ჯამური რაოდენობა განსაზღვრულია 50 სტუდენტით. ხელშეკრულებას თან ერთვის პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი (8 მოდული) და განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტზე ჩასატარებელი საათების რაოდენობა.

ფარმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა (50 პროფესიული სტუდენტი) გათვლილია და შესაბამისობაშია დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი სრულ შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, ლიტერატურა ხელმისაწვდომია პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDFEraserFree
სტუდენტისთვის და, შესაბამისად, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს - მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები, რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავებულია საგანმანათლებლო სტანდარტის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი - 09110-პ) „ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy“ საფუძველზე და დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N6-19 21.05.2020 დადგენილებით.(ცვლილება ა/ს დადგენილება N 6-43, 08/07/2020)

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებას, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა ძირითადი ინფორმაცია.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს, უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 21.05. 2020 წლის N6-19 დადგენილება(ცვლილება ა/ს დადგენილება N 6-43, 08/07/2020);
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ფარმაცია(სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამი განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება
- ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- დაწესებულების წამომადგენლებთან დისტანციური გასაუბრება
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ხოციელდება ქ. გორში შემდეგ მისამართზე: ქ.გორი ბესიკის N2(V კორპუსი). A, B, C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებო პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ A-C გარემო, განთავსებულია 25 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი. რამდენადაც პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს, სასწავლო პროცესი განხორციელდება ორ ცვლაში. A გარემო - თეორიული სწავლების აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერებით, პრინტერითა და პროექტორით. **სასურველია, პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის განკუთვნილი აღნიშნული A-C გარემოსთან, ერთად პროფესიული პროგრამისთვის ფარმაცია (სააფთიაქო) დამტებით გამოიყოს A გარემო, რათა მაქსიმალურად იქნას აცილებული პირველი და მეორე წლის მიღების სტუდენტების სწავლებისთვის A/C გარემოს ერდროული გამოყენების საჭიროება.** მოდული პირველადი გადაუდებელ დახმარება ტარდება საექთნო განათლების AC გარემოში.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 25 პროფესიული სტუდენტი. სულ 50 პროფესიული სტუდენტი - ორი ცვლისთვის/მიღებისთვის), სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება შესყიდვის დოკუმენტების შესწავლითა და ვიზუალური(შერჩევითი პრინციპით) დათვალიერებით. დაწესებულების მიერ-წარმოდგნილ იქნა მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია(მიღება ჩაბარების აქტები;

პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სააფთიაქო ქსელთან ს.ს „გეფა“, რომელსაც გორში აქვს 10 სააფთიაქო ფილიალი.

ხელშეკრულებას ერთვის დანართი N1 „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა პრატიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ“, მითითებულია ის 8 პროფესიულ/დარგობრივი მოდული, რომელსაც პროფესიული სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე გაივლიან

1. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების,გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა
2. მცირე შეფუთვებად მზა წამლისფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება
3. პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში

5. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა

6. მომხმარებლისათვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა

7. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა

8. მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;

რომელშიც გაწერილია ხელშეკრულებით შესაბამისი საათებით და მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივი.

ხელშეკრულების თანახმად, ზემოთ აღნიშნული მოდულების სტუდენტების პრაქტიკული სწავლება უნდა წარმართოს პარტნიორი ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ადამიანური რესურსის გამოყენებით. ამავე ხელშეკრულებით უნივერსიტეტი ვალდებულებას იღებს სწავლის დაწებამდე პროფესიული სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში გადაამზადოს საკუთარი სახსრებით პარტნიორი ორგანიზაციის ის ადამიანური რესურსი, რომელიც მოაზრებულია აღნიშნული მოდულების გაანმახორციელებელ მასწავლებლებად. ექსპერტები გაესაუბრნენ გეფას წარმომადგენლებს, მათ შორის განმახორციელებლებს და ასევე მათთთან შეთანხმებით მოხდა ს.ს. გეფას გორის ფილიალის ,,დეპო 95“ მენეჯერთან გასაუბრება, რომელმაც ისაუბრა აღნიშნულ პროგრამაზე უკვე განხორციელებული მოდულის, სხვა კოლეჯიდან სტუდენტთა ვიზიტის და ადგილზე მათი თანხვედრის შესახებ; მოდულის დაწყების წინ, სასწავლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის შესახებ; სტუდენტებისთვის ვიზიტის წინ შიდა რეგულაციების, უსაფრთხოების წესების გაცნობის თაობაზე; ერთ პასუხისმგებელ პირთან ერთდროულად მაქსიმალურად 2 სტუდენტის მიღების აუცილებლობაზე; სტუდენტებისთვის მოდულით გათვალისწინებული რესურსით უზრუნველყოფის თაობაზე.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

დაწესებულების პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამას ახორციელებს 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, სხვა პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობას, შემოწმდა აღნიშნულ პროგრამებზე, მათი კვირეული/ საათობრივი დატვირთვა, სასწავლო გეგმების გათვალისწინებით. ზოგადი მოდულის, ,,ინფორმაციული წიგნიერება 2“, განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ასწავლის კიდევ ორ სხვა პროგრამაზე,,აღმზრდელი“ და ,,ბუღალტრული აღრიცხვა,“ ხოლო ინგლისური ენის პროფესიული მასწავლებელი ასწავლის პროგრამაზე ,,ღონისძიების ორგანიზება“. სასწავლო გეგმების მიხედვით შემოწმებული პროფესიულ მასწავლებელთა კვირეული/ საათობრივი დატვირთვა არ სცდება ნორმას. ჩატარდა განმახორციელებლებთან გასაუბრება. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი მოდულების განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს. ამასთან, მათი მოდულების განხორციელების კომპეტენციისა და დარგებში გამოცდილების მიხედვით ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ვიზიტის ფარგლებში გასაუბრება მოხდა პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც ამავდროულად არის მოქმედი ფარმაცევტი. მან აღნიშნა აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარებისთვის დაგეგმილ ღონისძიებებში, (ერთ-ერთი ბოლო - პროგრამისთვის განკუთვნილი მოდულების მიხედვით, უნიფიცირებული სასწავლო ინსტრუმენტების შექმნა). საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება მარეგულირებელი დებულების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებას აქვს პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, როგორც როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით, რაც დადასტურდა დისტანციური გასაუბრების დროს. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ონლაინ დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამით ,,ფარმაცია(სააფთიაქო) გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში გათვალისწინებული სასწავლო რესურსი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონულად - დისკებზე ჩაწერილი(პროგრამების მიხედვით). ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად; ახალი გამოწვევების გამო-ონლაინ სასწავლო ფორმაზე გადასვლა, ფარმაციაში, ახალი ელექტრონული სახელმძღვანელოები ჩნდება. გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა რომ სიახლეებს სახელმძღვანელოთა ახალ ელ ვერსიებს პროფესიული მასწავლებლები იყენებენ უშუალოდ სტუდენტებთან ონლაინ ლექციებზე და მათ მიერვე ხდება სტუდენტებისთვის აღნიშნული რესურსის მიწოდება.

<u>სასურველია</u> საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების სასწავლო რესურსებში აისახოს ახალი ელექტრონული სასწავლო რესურსები, რასაც პროფესიული მასწავლებლები იყენებენ დისტანციური სწავლების დროს

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს პროგრამის ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, მასალა ნედლეულის ხარჯი, კომუნალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
გადასახადები, ძირითადი გადასახადები და სხვა ხარჯები. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით რენტაბელური ჯგუფის ოდენობა, ანუ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას განსაზღვრულია 11 პროფესიული სტუდენტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთებთ;
- პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაცია ს.ს. ,,გეფა“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 21 მაისი N6-19 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილება - 2020 წლის 8 ივლისის N 6-43 დადგენილება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია(სააფთიაქო)
  - პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით და მასთან გასაუბრებით;
  - საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეებით;
  - ვებ-გვერდით;
  - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები https://gu.edu.ge/ge/library;
  - ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით;
  - პროგრამის ბიუჯეტით;
  - გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ჯგუფებითა და ინტერვიუერებით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს. პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, წარმოუდგენს მას ანგარიშს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში. დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას; პროგრამის შეფასების მექანიზმი ასევეითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ამ მიზნით შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო პროგრამა.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი.პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების ცენტრს. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,ფარმაცია(სააფთიაქო)“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს და15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერს. სასწავლო გეგმაში მოდულები განლაგებული წინაპირობების დაცვით. **ერთ შემთხვევაში, მოდული „სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება,“ სასწავლო გეგმის შესაბამისი ველში მითითებული არ არის მოდულთა ჩამონათვალი, რომელიც აღნიშნული მოდულის წინაპირობას წარმოადგენენ. რაც შეეხება აღნიშნული მოდულის დაწყებას, გეგმით გათვალისწინებულია ყველა წინმსწრები მოდული. სასურველია ეს ტექნიკური შეცდომა გასწორებული იქნას. ასევე სასურველია, მოდული ფარმაცევტული საქმიანობის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ორგანიზაციის საფუძველები 44-ე კვირის ნაცვლად დაწყებულ იქნას პირველივე ეტაპზე, რათა სტუდენტები სწავლების დასაწყისშივე ინფორმირებულ იქნენ მათ მიერ არჩეულ პროფესიის სპეციფაკასა და სტრუქტურაზე.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება რექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძელზე ოქმის სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნას განმეორებით შეფასებაზე გასვლის პრობლემა.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამის მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
ეროვნული ცენტრის, ასევე, დაწესებულების ძალებით. სისტემატურად ტარდება ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება რექტორი ბრძანებით.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულება სს,,გეფა“-სთან. - ხელშეკრულება N 25- 07.07.2020 წელი, ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან ,,ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმების მომენტიდან; ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება შემსრულებლისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის მომენტიდან“

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული სტუდენტების სწავების პროცესის წარმართვა შემსრულებლის დაქვემდებარებაში არსებული ფართის, მატერიალურ ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესუსრსის გამოყენებით. ითვალისწინებს შესაბამის ვალდებულებებს ორივე მხრიდან.

ხელშეკრულება გაფორმებულია აღნიშნულ ორგანიზაციასთან 3 წლის ვადით და პროფესიულ სტუდენტთა ჯამური რაოდენობა განსაზღვრულია 50 სტუდენტით. ხეშეკრულებას თან ერთვის პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი (8 მოდული) და განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტზე ჩასატარებელი საათების რაოდენობა. ხელშეკრულების 3.3. მუხლში განსაზღვრულია, რომ „პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პრაქტიკული სასწავლო პროცესის წარმართვა სწავლის შედეგების მიღწევისა და დადასტურებისთვის აუცილებელი აღჭურვილობით“.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძრო სტენდი), რომლის გამოყენების ინსტრუქცია ახსნილია დაწესებულების სტუდენტებისა და პერსონალისათვის; დაწესებულებას შემუშვებული აქვს უტილიზაციისაა და ნარჩენების მართვის წესი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 16 ოქტომბრის #1-98 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ზემოაღნიშნულის, ასევე პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. სასწავლო A/C გარემოში პროფესიული სტუტენტებისთვის თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული უსაფრთხოების ქცევის წესები, მოთასებულია ცეცხლმაქრი. პირველადი დახმარების ყუთი. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტთა უსაფრთხოების წესები და ვალდებულება გათვალიწინებულია ხელშეკრულების მიხედვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამით ;
- სასწავლო და კალენდარული გეგმებით;
- ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. დაწესებულებაში დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებულია განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს და სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს. შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით.

ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა სტუდენტთა პორტფოლიო-დასრულებული მოდული/ების შესრულებული შეფასების ინსტრუმენტი, რაც შესაბამისობაშია პროფესიული პროგრამის მოდულების შედეგებთან და სწავლების მიმართულებებთან.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა.

ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით; დაწესებულებაში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდნტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას. დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიულ სტუდენტების მიღწევების ანალიზი, რომელსაც მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი https://gu.edu.ge/uploads/other/11/11161.pdf;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

